შემაჯამებელი დავალება N1

ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2023-2024 სასწავლო წლის 1-ელ სემესტრში

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას:

ლიტერატურის კრიტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“ ყველა პერსონაჟი ეგოისტია და შესაბამისად, მოქმედებს მხოლოდ პირადი სარგებლისათვის.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ან უარყავით აღნიშნული მოსაზრება. თქვენი თვალსაზრისის დასაბუთებისას დაიმოწმეთ ტექსტი; დაიცავით ესეს სტრუქტურა და სალიტერატურო ენის ნორმები.

დავალების შესაბამისობა საგნობრივ სტანდარტთან:

ქართ. XII. 11. მოსწავლეს შეუძლია გამოკვლევის (მცირე მოცულობის სამეცნიერო ნაშრომის) დაწერა წინასწარ შერჩეულ თემაზე.
ქართ. XII. 13. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დაწერა.
ქართ. XII. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

არგუმენტირებული ესეს შეფასების რუბრიკა - 10 ქულა

დავალების პირობის გაგება-გააზრება	**ქულა**
დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული	**2**
დავალების პირობა ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული	**1**
დავალება მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული	**0**
ნაშრომის აგება	**ქულა**
ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი	**1**
ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული არ არის.	**0**
მსჯელობის დასაბუთება	**ქულა**
მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით	**3**
მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტებსა და მოხმობილ მაგალითებს დამაჯერებლობა აკლია	**2**
მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტების და/ან მაგალითების მოხმობისას დაშვებულია უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა	**1**
მსჯელობა არ არის მოცემული	**0**
გრამატიკული კომპეტენცია (მორფოლოგია, სინტაქსი, პუნქტუაცია, სტილისტიკა)	**ქულა**
არ არის დაშვებული 5-ზე მეტი შეცდომა	**4**
არ არის დაშვებული 9-ზე მეტი შეცდომა	**3**
არ არის დაშვებული 12-ზე მეტი შეცდომა	**2**
არ არის დაშვებული 14-ზე მეტი შეცდომა	**1**
დაშვებულია 14-ზე მეტი შეცდომა	**0**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას:

ლიტერატურის კრიტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“ ყველა პერსონაჟი ეგოისტია და შესაბამისად, მოქმედებს მხოლოდ პირადი სარგებლისათვის.

არგუმენტირებული მსჯელობით <u>დაეთანხმეთ ან უარყავით აღნიშნული მოსაზრება.</u> თქვენი თვალსაზრისის დასაბუთებისას დაიმოწმეთ ტექსტი; დაიცავით ესეს სტრუქტურა და სალიტერატურო ენის ნორმები.

ასე იფიქრა და ისაზრა ჩხირკედელა წიგნის მატლმა და ქაჩალმა თაგვმა, სანამ თავისივე თათებით გამოჩხრეკილი კატა თავთ არ წაადგა.
**

თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია: სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა. სამოთხის კარები გაეღო. დღე-და-ღამე ქუდმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაირაღს იქნევდა და ჩახლეჩილი ხმით ჰკიოდა:
- თავისუფლებას გ...გგაუმარჯოს!.. ვაშაა!. რევოლუციას გაუმარჯოს!.. ძ...ძირს მეფე და ძძალადობა!
და მეათასეჯერ სწერდა და ილოღნიდა:
- მთელ ქვეყანაზე არავის არ ჰყოლია რუს...სისთანა ინტელ... ლლიგენცია. ბედნიერი ხალხია, ბ..ბბედნიერი!

განუწყვეტელ ლაპარაკით, სირბილით და წერით ხმა ჩაუწყდა, ენა დაება, მუხლები მოსწყდა და ხელის თითები დაუდუნდა.

მერმე თანდათან დაინახა და დარწმუნდა, რომ იმდენი ხნის ნანატრი და ნალოდინევი მისი გასართობი და სათამაშო კი არ იყო, არამედ თავისას მოითხოვდა.

თეიმურაზი ჯერ გაჩუმდა. შემდეგ გატვრინდა და აიმრიზა. "გაუმარჯოსს" აღარ გაიძახოდა და აღარც წითელ ბაირაღს იქნევდა. თან წითელ ფერს გაურბოდა, უწინდელ დროშებს სწვავდა, თაგვის სოროში სძვრებოდა, შიშისაგან კანკალებდა. გადარეულმა თეიმურაზმაც უმალ ზურგი მიიბრუნა: ქუდ-მოგლეჯილი ჩხირკედელა უგზო-უკვლოდ თავდაღმა დაეშვა და სასოწარკვეთით გაჰკიოდა:
- გვიშველეთ! დავიღუპე-ე-ე-თ! გვიშველე-ე-თ!

მაგრამ მშველელი არსად სჩანდა. განწირულის კივილი და გოდება თანდათან მისუსტდა, მიიბნიდა და, ბოლოს, სადღაც ჯურღმულში მისწყდა. რევოლუციის გრიგალში თეიმურაზ ხევისთავის კნავილი ვერავინ გაიგო, ხოლო მისი ათი წლის ნაშენები და ნაცოდვილარი წითელმა გოლიათმა ქინძისთავის-ოდენა ლუკმასავით ჩაჰყლაპა.

თეიმურაზი ნელ-ნელა ისევ წიგნების სანაგვეს დაუბრუნდა, რომელსაც განათლებულ ქათამივით გულმოდგინედ ჰქექავდა. ჰქექავდა და ამონაკითხს ახალ ცხოვრებას ადარებდა. ახალი და ცოცხალი ცხოვრება არა ჰგავდა თეიმურაზის და იმის მასწავლებელ მწიგნობართა ნაროშვარს. ჰხედავდა ამ უცნაურობას თეიმურაზი და გულუბრყვილოდ ბრაზობდა იმის გამო, რომ ცხოვრება წიგნებს არ ემორჩილებოდა, არც კი ეკითხებოდა, და ბრძენთა ნებადაურთველად, თავისი გზით თავხედურად მიაბიჯებდა. თეიმურაზი კი თითს ისევ ცას აბჯენდა და ისევ ჰკვირობდა:
- საკ...კვირველია! ს...სსაოცარია!

ამ ქვეყანამ და თეიმურაზ ხევისთავმა თანდათან ისე შეიძულეს და შეიზიზღეს ერთმანეთი, როგორც კერპმა მამამ შეიძულა უძღები შვილი, რომელმაც განუზომელი ურჩობა, უმადურება, კადნიერება და ამპარტავნება გამოიჩინა და საკუთარ ფეხებზე დადგომა და საკუთარი გზით სიარული გაჰბედა.

იმ დღიდან თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში, რომელიც, ვერ იქმნა, ვერ ჩამოიგლიჯა, ვერ მოიშორა, და თვითონაც იმ ლეშიან ცხოვრებას ვერსად გაექცა და ვერსად დაემალა.

1. რა არ არის პირველი აბზაცის მთავარი სათქმელი?
ა) თეიმურაზს ბევრი მონინააღმდეგე ჰყავდა;
ბ) თეიმურაზი და მარგო ერთმანეთისთვის უცხონი დარჩნენ;
გ) თეიმურაზი მუდამ საზოგადოებრივ პრობლემებზე ფიქრობდა;
დ) თეიმურაზმა შორეულზე ზრუნვაში დაკარგა მთავარი სიწმინდე მარგოს სახით;
2. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული შემდეგი წინადადების ხაზგასმულ სიტყვებში: „ასე იფიქრა და ისაზრა ჩხირკედელა წიგნის მატლმა და ქაჩალმა თაგვმა, <u>სანამ თავისივე თათებით გამოჩხრეკილი კატა თავთ არ წაადგა“.</u>
ა) მეტაფორა; ბ) შედარება; გ) ეპითეტი; დ) გაპიროვნება;
3. რომელი წინადადება გადმოსცემს იმავე აზრს, რასაც წინა შეკითხვაში მოცემული წინადადების ხაზგასმული ნაწილი?
ა) „დღე-და-ღამე ქუდმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაირაღს იქნევდა“
ბ) „იმდენი ხნის ნანატრი და ნალოდინევი მისი გასართობი და სათამაშო კი არ იყო, არამედ თავისას მოითხოვდა“
გ) „თეიმურაზი ჯერ გაჩუმდა. შემდეგ გატვრინდა და აიმრიზა“.
დ) „მაგრამ მშველელი არსად სჩანდა“.
4. რას გულისხმობს წინადადება: „უწინდელ დროშებს სწვავდა“?
ა) თეიმურაზი ცდილობდა წარსულის დავიწყებას;
ბ) თეიმურაზი ცდილობდა წარსულთან კავშირის გაწყვეტას;
გ) თეიმურაზი ცდილობდა ბოლშევიკებთან კავშირის გაწყვეტას;
დ) თეიმურაზი ცდილობდა ახალ სახელმწიფოში ადგილის დამკვიდრებას;

5. რა მოვლენას გულისხმობს მეტაფორული წინადადება: „წითელმა გოლიათმა ქინძისთავის-ოდენა ლუკმასავით ჩაჰყლაპა“?

ა) მეფის რუსეთი მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებას;
ბ) რუსეთის იმპერიის მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას;
გ) ბოლშევიკური რეჟიმის მიერ მონარქიული წყობილების გაუქმებას;
დ) ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გაუქმებას;

6. რომელი წინადადება მიუთითებს თეიმურაზის დაცემას?

ა) „თეიმურაზი ჯერ გაჩუმდა. შემდეგ გატვრინდა და აიმრიზა“;
ბ) „ქუდ-მოგლეჯილი ჩხირკედელა უგზო-უკვლოდ თავდაღმა დაეშვა“;
გ) „რევოლუციის გრიგალში თეიმურაზ ხევისთავის კნავილი ვერავინ გაიგო“;
დ) „თეიმურაზი ნელ-ნელა ისევ წიგნების სანაგვეს დაუბრუნდა“.

7. რომელი ფრაზა მიუთითებს, რომ ცხოვრება „ბრძენთა“ ნაფიქრალსა და წიგნებს არც უნდა ემორჩილებოდეს?

ა) „ჰქექავდა და ამონაკითხს ახალ ცხოვრებას ადარებდა“.
ბ) „...გულუბრყვილოდ ბრაზობდა იმის გამო, რომ ცხოვრება წიგნებს არ ემორჩილებოდა“
გ) „ახალი და ცოცხალი ცხოვრება არა ჰგავდა თეიმურაზის და იმის მასწავლებელ მწიგნობართა ნაროშვარს“.
დ) „თეიმურაზი კი თითს ისევ ცას აბჯენდა და ისევ ჰკვირობდა: - საკ...კვირველია! ს...სსაოცარია!“

8. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული შემდეგ წინადადებაში : „რომელსაც განათლებულ ქათამივით გულმოდგინედ ჰქექავდა“.

ა) სარკაზმი; ბ) ჰიპერბოლა; გ) მეტაფორა; დ) შედარება;

9. რას გულისხმობს „ლეშიანი ცხოვრება“?

ა) უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრებას; ბ) წარსული მოგონებებით ცხოვრებას;
გ) არარაობის განცდით ცხოვრებას; დ) ხიზნად ცხოვრებას;

10. რომელ წინადადებაში <u>არ ჩანს</u> ავტორის დამოკიდებულება მთავარი გმირის მიმართ?

ა) თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია; ბ) ქუდ-მოგლეჯილი ჩხირკედელა;
გ) [თეიმურაზი] ჰბორძიკობდა...; დ) ხევისთავის კნავილი ვერავინ გაიგო;

გარდა განათლებისა, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ მისი ცოდნა იყოს სასარგებლო?

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს პრობლემა და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

პასუხების ფურცელი

ა) წაკითხულის გააზრება

	1	2	3	4	5
ა					
ბ					
გ					
დ					

	6	7	8	9	10
ა					
ბ					
გ					
დ					

სახელი და გვარი

ბ) წერითი დავალება

სახელი და გვარი

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის მე-12 კლასის

შემაჯამებელი დავალება N2

ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2023-2024 სასწავლო წლის 1-ელ სემესტრში

წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

(მ.ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით)

სტანდარტთან შესაბამისობა

ქართ. XII. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.
ქართ. XII. 13. მოსწავლეს შე–უძლია მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დაწერა.

წაკითხულის გააზრება

1-ა;

2-ა;

3-ბ;

4-ბ;

5-დ;

6-ბ;

7-გ;

8-დ;

9-გ;

10-ა;

წერითი დავალების შეფასების რუბრიკა

1. დავალების პირობის გაგება-გააზრება	ქულა
დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული	2
დავალების პირობაში დასმული პრობლემა ადეკვატურადაა გაგებული, მაგრამ არ არის გაანალიზებული მითითებული მხატვრული ნაწარმოები ან არ არის მსჯელობა პრობლემის აქტუალურობის შესახებ.	1
დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული	0
2. მხატვრული ნაწარმოების ანალიზი	**ქულა**
მხატვრული ნაწარმოები სიღრმისეულადაა გააზრებული და გაანალიზებული, გამოკვეთილია დავალების პირობაში წარმოდგენილი პრობლემა.	3
მხატვრული ნაწარმოები კარგადაა გააზრებული და გაანალიზებული, მაგრამ მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი დავალების პირობაში წარმოდგენილი პრობლემა; ანდა მხატვრული ნაწარმოების ანალიზს სიღრმე აკლია, მაგრამ მკაფიოდ არის გამოკვეთილი დავალების პირობაში წარმოდგენილი პრობლემა.	2
მხატვრული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა ზოგადია და სათანადოდ არ არის გამყარება ტექსტური მასალით, დავალების პირობაში წარმოდგენილი პრობლემის ანალიზს დამაჯერებლობა აკლია.	1
მხატვრული ნაწარმოები გაანალიზებული არ არის. ან ტექსტი ორზე მეტ შემთხვევაში არაადაკვატურადაა გაგებული, ანდა მსჯელობა მხოლოდ ორი-სამი წინადადებით არის წარმოდგენილი.	0
3. პრობლემის აქტუალობის დასაბუთება	**ქულა**
მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით	3
მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტებს დამაჯერებლობა აკლია და არ არის გამყარებული შესაფერისი მაგალითებით.	2
მსჯელობა ზერელეა და არგუმენტები არადამაჯერებელია	1
მსჯელობა დასაბუთებული არ არის	0
4. დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	**ქულა**
ნაშრომში კარგად გამოიკვეთა მოსწავლის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი	2
ნაშრომში ნაწილობრივ გამოიკვეთა მოსწავლის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი	1
ნაშრომში არ გამოიკვეთა მოსწავლის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი	0
5. მორფოლოგია, ორთოგრაფია სინტაქსი	**ქულა**
არ არის დაშვებული 2-ზე მეტი შეცდომა	5
არ არის დაშვებული 4-ზე მეტი შეცდომა	4
არ არის დაშვებული 6-ზე მეტი შეცდომა	3
არ არის დაშვებული 8-ზე მეტი შეცდომა	2
არ არის დაშვებული 10-ზე მეტი შეცდომა	1
დაშვებულია 10-ზე მეტი შეცდომა	0
6. პუნქტუაცია	**ქულა**
არ არის დაშვებული 3-ზე მეტი შეცდომა	3
არ არის დაშვებული 6-ზე მეტი შეცდომა	2
არ არის დაშვებული 10-ზე მეტი შეცდომა	1
დაშვებულია 10-ზე მეტი შეცდომა	0
ლექსიკა და სტილი	**ქულა**

ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი.	**2**
ნაშრომში არსებითად შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ადეკვატურადაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი	**1**
ნაშრომის სტილი არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია სტილის ერთგვაროვნება; აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტიკური ხარვეზები.	**0**

შემაჯამებელი დავალების ჯამური ქულაა 30.

შეფასება

ქულა	**10**	**9**	**8**	**7**	**6**	**5**	**4**	**3**	**2**	**1**
სწორი პასუხის % მაჩვენებელი	90% და მეტი	80%-89%	70%-79%	60%-69%	50%-59%	40%-49%	30%-39%	20%-29%	10%-19%	1%-9%

 სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის მე-12 კლასის

შემაჯამებელი დავალება N 3

ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2023-2024 სასწავლო წლის 1-ელ სემესტრში

ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო. თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

მიხეილ ხერგიანი ქართველი ალპინისტი, სსრკ–ს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, დაიბადა 1932 წელს სვანეთის ერთერთი პირველი ალპინისტის ოჯახში. მამამისის გარდა ალპინისტები იყვნენ მისი ბიძა და ბიძაშვილი. მოზარდობიდანვე მიშა დადიოდა მთებში, ცოცავდა კლდეებზე და სამთოსათხილამურო სპორტით იყო გატაცებული. მისი სპორტული კარიერაც ადრეულ ასაკიდან დაიწყო.

მიხეილ ხერგიანი გამოირჩევოდა მთაზე ასვლისა და კლდეზე ცოცვის უბადლო ოსტატობით. ძლიერ პოპულარული იყო როგორც საბჭოთა ისე უცხოეთის მთასვლელთა შორის.

1964 წელს მიხეილი ინგლისში მიიწვიეს. შეჯიბრებას დედოფალიც ესწრებოდა რომელსაც მიხეილ ხერგიანი დაუნახავს ტრიკონებში (ფეხსაცმელი, რომლის ძირიც ვეფხვის ტორს წააგავს) და უკითხავს: „ვინ არის ის, კლდის ვეფხვივით რომ დაცოცავს?“

1969 წლის ზაფხულში მიხეილ ხერგიანი ალპინისტთა ჯგუფთან ერთად იტალიურ ალპებში გაემგზავრნენ რადგან მწვერვალები დაელაშქრა. ბოლო მარშრუტი იყო მთა სუალტოს 700-მეტრიანი კედელი, სადაც ხერგიანს რეკორდი უნდა დაემყარებია. მოულოდნელი ქვების ცვენამ მისი თოკი გადაჭრა და მთასვლელი 600 მეტრის სიმაღლიდან მოწყდა და დაიღუპა.

ალპინისტის სახელის უკვდავ საყოფად 1983 წელს მესტიაში გაიხსნა ხერგიანის მემორიალური მუზეუმი.

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის მე-12 კლასის

შემაჯამებელი დავალება N 3

ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2023-2024 სასწავლო წლის 1-ელ სემესტრში

ტექსტის რედაქტირება

_____

სახელი და გვარი

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის მე-12 კლასის
შემაჯამებელი დავალება N 3
ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2023-2024 სასწავლო წლის 1-ელ სემესტრში

ტექსტის რედაქტირება

სტანდარტთან შესაბამისობა:
ქართ. XII. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)
1)მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები, მექანიკური შეცდომები ---------- 9ქ.
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (9) აკლდება თითო ქულა.
2) სტილისტური ხარვეზები და ტექსტური უზუსტობები---------- 2ქ.
ამ ტიპის ყოველ ხარვეზსა თუ უზუსტობაზე მაქსიმალურ შეფასებას (2) აკლდება თითო ქულა.
3)პუნქტუაციური შეცდომები ---------- 5ქ.
ამ ტიპის ყოველ ხარვეზსა თუ უზუსტობაზე მაქსიმალურ შეფასებას (5) აკლდება თითო ქულა.

შეფასება

ქულა	**10**	**9**	**8**	**7**	**6**	**5**	**4**	**3**	**2**	**1**
სწორი პასუხის % მაჩვენებელი	90% და მეტი	80%-89%	70%-79%	60%-69%	50%-59%	40%-49%	30%-39%	20%-29%	10%-19%	1%-9%

რედაქტირებული ვარიანტი

მიხეილ ხერგიანი, ქართველი ალპინისტი, სსრკ–ს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, დაიბადა 1932 წელს სვანეთის ერთ–ერთი პირველი ალპინისტის ოჯახში. მამამისის გარდა, ალპინისტები იყვნენ მისი ბიძა და ბიძაშვილი. მოზარდობიდანვე მიშა დადიოდა მთებში, ცოცავდა კლდეებზე და სამთო–სათხილამურო სპორტით იყო გატაცებული. მისი სპორტული კარიერაც ადრეული ასაკიდან დაიწყო.

მიხეილ ხერგიანი გამოირჩეოდა მთაზე ასვლისა და კლდეზე ცოცვის უბადლო ოსტატობით. ძალიან პოპულარული იყო როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის მთასვლელთა შორის.

1964 წელს მიხეილი ინგლისში მიიწვიეს. შეჯიბრებას დედოფალიც ესწრებოდა, რომელსაც მიხეილ ხერგიანი დაუნახავს ტრიკონებში (ფეხსაცმელი, რომლის ძირიც ვეფხვის ტორს წააგავს) და უკითხავს: *„ვინ არის ის, კლდის ვეფხვივით რომ დაცოცავს?“*

1969 წლის ზაფხულში მიხეილ ხერგიანი ალპინისტთა ჯგუფთან ერთად იტალიურ ალპებში გაემგზავრა, რათა მწვერვალები დაელაშქრა. ბოლო მარშრუტი იყო მთა სუალტოს 700-მეტრიანი კედელი, სადაც ხერგიანს

რეკორდი უნდა დაემყარებინა. მოულოდნელი ქვების ცვენამ მისი თოკი გადაჭრა და მთასვლელი 600 მეტრის სიმაღლიდან მოწყდა და დაიღუპა.

ალპინისტის სახელის უკვდავსაყოფად 1983 წელს მესტიაში გაიხსნა ხერგიანის მემორიალური მუზეუმი.